ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 39-27

"26" აპრილი 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 28/12/2023, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.101.017165) და დადგენილების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი N1):

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ბ.ა) საშვილოსნოს ყელის დათვალიერებას და პაპ-ტესტის (PAP–ტესტი) ჩატარებას ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით 25 წლიდან 30 წლამდე ასაკის ჩათვლით ქალებში;";

ბ) მე-9 მუხლს, მე-2 პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. 2024 წლის 10 მაისამდე, ქვეპროგრამის მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულებების მიერ, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, 30-დან 60 წლის ასაკის ჩათვლით ქალებში, განხორციელდეს HPV დნმ-ის განსაზღვრის ან პაპ-ტესტის (PAP-ტესტის) ჩატარებით ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით."

მუხლი 2.

1. ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის პირველი აპრილიდან განხორციელებულ კვლევებზე.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე